№ 165. 21 აგვისტო, კვირა. 1866—1883 21 აგვისტო, კვირა. № 165.

# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებები მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

18 აგვისტოს.

**სარატოვი.** აქ მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უფროსი თავის შვილით პეტრე ნიკოლოზის-ძითურთ. მათს უდიდესობათ აღტაცებით მიეგებნენ ქალაქის წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

**პარიჟი.** პარიჟის გრაფმა გამოუცხადა ყველა სასახლეებს შამბორის სიკვდილი ცირკულიარით, რომელსაც აწერს «ფილიპე გრაფი პარიჟისა».

**კოპენჰაგენი.** დღეს გათენებისას ორთქლის გემი «დანებროგი» დანიის მეფით, მემკვიდრე პრინცით ვოლდემარით და საბერძნეთის მეფით წავიდა იახტის «დერჟავის» მისაგებებლად გვეგის ნავთსადგურში.

როდესაც იახტა კოპენჰაგენს მოუახლოვდა, მათს იმპერატორებით დიდებულებათ დახვდნენ ზარბაზნების სროლით და აღტაცებული ყვირილით; დანიის გაზეთებმა დაბეჭდეს რუსეთის სასახლის თანამგრძნობი სტატიები. კილიდგან მალე მოვა მარიამ პავლეს ასული და მოელიან დიდს მთავარს ალექსი ალექსანდრეს-ძეს.

19 აგვისტოს.

**პეტერბურღი.** გუშინ დიდი მთავრის ალექსი ალექსანდრეს-ძის თანადასწრებით მარჯვედ ჩაუშვეს წყალში ახალი ნახევარ-ჯავშიანი ფრეგატი «დიმიტრი დონსკოი», რომლის გაკეთებასაც მოხმარდა 83,250 ფუთი ფოლადი, 15,550 ფუთი რკინა და 3400 ფუთი სპილენძი; სიგძე ტარანითურთ 306 ფუტი და სიგანე 52 ფუტი აქვს; ფრეგატი დაიარაღებული იქმნება 16 ზარბაზნით და მინის მოწყობილებით.

«Новое Время» იწერება, რომ ებრაელთა კითხვის გამოსაკვლევად დადგენილი კომისია შეამდგომლობს მთლად ებრაელთა მცხოვრებლების აწერას.

კონტროლის უწყებაში დაწესდება ახალი თანამდებობები და ჯამაგირები მომავალს იანვარში. ჯამაგირები მოემატებათ, უაღრესად, დაბალ მოსამსახურეთა, სტოლის უფროსიდამ დაწყებული.

**ადესა.** გუშინ დაიწყო ბუნების-გამომძიებელთა კრება; კრების თავმჯდომარეთ პროფესორი მეჩნიკოვი ამოირჩიეს; თავმჯდომარის ამხანაგებათ — პროფესორები: ბუტლეროვი, კოვალევსკი და სკლიფასოვსკი.

**ლონდონი.** ბატავიიდგან ტელეგრამით იწერებიან, რომ იმ ადგილის, სადაც კუნძული კრაკატოა იყო, და სიბერუთის კუნძულებს შუა, 16 ახალი ვულკანი ამოხეთქა; სინეგორნის ვულკანიდგან ხუთი ვულკანი შესდგა; ბანტანი ნაცარმა წალეკა, მცხოვრებლები გაიქცნენ; მარტო ერთს ტანარის მაზრაში 700 მკვდარი იპოვნეს.

**ზაგრები.** გარდასწყვიტეს აღადგინონ ვენგრიული ზედ-წარწერები; ახალმა ხორვატიის ბონმა მაინც კიდევ გამოაცხადა, რომ ამ ზომას სისრულეში მოიყვანენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას წინ არ აღუდგებიან მცხოვრებლები, რაიცა ფრიად საეჭვოა.

**პეშტი.** გუშინ ღამ სოციტორში შემოვარდა დიდი კარგად დაიარაღებული ხროვა, რომელმაც გაცარცვა ებრაელები და, ვინც უძალიანდებოდა, დახვრეტას ემუქრებოდნენ.

---

თბილისი, 20 აგვისტო.

«დროების» მე-147 №-ში უკვე მოველაპარაკეთ მკითხველებს იმაზე, თუ რა მოზდევს ტრანზიტის მოსპობას კავკაზიაში. მაშინვე მოვიხსენიეთ, რომ რუსეთელი ვაჭრების იმედები ფუჭი გამოდგნენ, რომ ტრანზიტის მოსპობით რუსეთის საქონელი ვერ გასაღდებოდა სპარსეთში და შუა-აზიაში, რადგანაც რუსული საქონელი და რუსეთელი ვაჭრების მოხერხება ვერასოდეს ვერ შეედრებიან ინგლისის და საფრანგეთის საქონელს და ვაჭრობას. ფრანცუზებმა უკვე განიძრახეს ერზერუმზედ საქონლის გზავნა და ტრაპეზონის და ერზერუმის შუა შოსეს გაყვანას შესდგომიან. ამასობაში რუსული საქონელი არა სჩანს აზიაში... რუსულს საქონელს გასაღებისათვის ესაჭიროება ღირსების გაუმჯობესობა, ფასის შემცირება და ვაჭრებისაგან რიგიანად საქმის წაყვანა...

მხოლოდ მაშინ როცა მოისპო ტრანზიტი და რუსეთის ვაჭრების იმედი არ გამართლდა, რუსეთელი ვაჭრები გონში მოვიდნენ და მიხვდნენ, რომ ტრანზიტის მოსპობა მათ ვერ უშველის, თუ სხვა რაიმე ღონის-ძიებით არ ებრძოლეს ევროპიულ ვაჭრობას. აი, მაგალითი: ტრანზიტის მოსპობამდის კარგათ იცოდნენ, რომ ევროპიული შაქარი უფრო საღდება აზიაში თავისი ზოგიერთა ღირსების და თვისებების წყალობით, რომ ეს შაქარი უფრო შეჰფერის აზიელის გემოვნებას; ისიც ადვილად მისახდომი იყო, რომ ევროპიელები ასე ადვილად არ დაუთმობდნენ სავაჭრო მოედანს და ეცდებოდნენ მოეძებნათ საშუალება და გზა თავიანთი საქონლის გასასაღებლად; მაგრამ ჭკუა-მოკლეობამ აქაც დასძლია. დღეს კი, რადგანაც რუსული შაქარი ვერ ვრცელდება აზიაში ზემოთ მოხსენებული მიზეზების გამო, ზოგიერთა რუსეთელმა და უცხოეთელმა კაპიტალისტებმა სცნეს საჭიროდ და სასარგებლოდ კავკასიაში შაქრის ზავოდების დაარსება; ამ ზავოდებში უნდა კეთდებოდეს იმისთანა შაქარი, რომელიც არ უნდა ჩამორჩეს თავის ღირსებით ფრანცუზულსა. თავის მიზნის მისაღწევათ საუკეთესო ადგილათ უცვნიათ ლენკორანის მაზრა და ნახიჩევანის მახლობელი ადგილები. მაშ საჭირო ყოფილა საქონლის ღირსების შეცვლა, ფასის შემცირება... თვით საქონელი რომ შესაფერი ღირსებისა და ფასისა ყოფილიყო... მაგრამ საქმე იმაშია, მიაღწევს თუ არა რუსული საქონელი ჯერ-ჯერობით ევროპიულ საქონლის ხარისხამდე და დასჯერდება თუ არა ნაკლებ ფასსა? ამ კითხვებზე, რასაკვირველია, უარ-ყოფითი პასუხი უნდა მიეცეს.

როცა ტრანზიტზე ლაპარაკი იყო, მაშინ ტრანზიტის მოსპობას საჭიროდ რაცხდნენ, სხვათა შორის, იმისთვის, რომ თავისუფალი ტრანზიტის დადგენა კონტრაბანდას გაავრცელებსო და ტრანზიტის მოსპობა კი კონტრაბანდას მოსპობსო.... მის შემდეგ, რაც ევროპიელებმა განიძრახეს გზის გაყვანა მცირე აზიაში, მაშინ მიხვდნენ, რომ კონტრაბანდა უსათუოდ შემოიპარება მცირე აზიიდამ და ამისთვის ტამოჟნის დეპარტამენტს განუძრახავს მცირე აზიაში, ოსმალეთის სამზღვარზე, ყარაულების ცალკე განყოფილების დადგენა სამზღვრისათვის თვალ-ყურის სადევნელად...

---

## შინაური ქრონიკა

ეს ეს არის შეგვატყობინეს ჩვენ სანდო პირებმა ფრიად სასიამოვნო ამბავი, რომელიც არ შეგვიძლიან არ გაუზიაროთ ჩვენს მკითხველებს. თბილისის სასულიერო სემინარიას ამ დღეებში უწმინდესი სინოდიდგან მიუღია ბრძანება, რომლის ძალითაც ჩვენს სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებში ქართული ენის სწავლებას ის უფლება, ის მალა ეძლევა, რაც სხვა სამოსწავლო საგნებსა, ე. ი. შტატის საგნად დადგენილა. ამასთანავე ამ ბრძანების ძალით სემინარიაში ქართულსავე ენაზე უნდა ასწავლონ ქართული სიტყვიერება და კვირაში შვიდი გაკვეთილი უნდა იყოს ამ საგნისა.

ყველა დაგვეთანხმება, რომ უწმინდესი სინოდის ამ გვარი განკარგულება არის შედეგი რუსის გამოჩენილი პედაგოგის მიროპოლსკის რევიზიისა და ამისთვის ყოველი ნამდვილი ქართველის და ჭეშმარიტი მამულის შვილისაგან ღირსია იგი მადლობისა და გულ-წრფელის პატივისცემისა.... მაგრამ ბოლოს მაინც პედაგოგიურს ჭეშმარიტებას და ნათელის ჭკუის ძალას გაუმარჯვნია და უწმინდეს სინოდს საჭიროდ დაუნახავს ქართველებისთვის თავის ღვიძლი ენის შესწავლა. ამის გარდა უწმინდესი სინოდის განკარგულებით მთელი იმპერიის სასულიერო სასწავლებლებში ბერძნული ენა, როგორც უმნიშვნელო საგანი, სრულიად მოსპობილა და ლათინური ენის გაკვეთილებიც შემცირებულა.

ესეც, რასაკვირველია, ფრიად სასიამოვნო მოვლენაა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად იბეჭდება «ქართული კლასიკების» «მეორე წიგნი, რომელშიაც მთლათ იქმნება დაბეჭდილი მეთორმეტე საუკუნის საქართველოს მოლექსე იოანე შავთელისაგან დაწერილი «თამარ მეფის და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა» ავტორის ვრცელი ბიოგრაფიით.

ამ თვის ორს აზნაურს ნ. დ. ქანანოვს მიუღია მთავრობისაგან ნებართვა გამოსცეს თავისი რედაქტორობით ყოველ-დღიური ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი «მოამბე».

ხმებია, ვითომც ზოგიერთა ამ ჟამად პეტერბურღში მყოფ მაჰმადიანებს განძრახვა აქვთ ითხოვონ მათთვის საქალებო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ თბილისში თავიანთი ქალიშვილების მიღება სასწავლებელში, რადგანაც იმედი აქვთ, რომ სწავლა განათლება დაიცავს მამათაგან ნაანდერძევს სარწმუნოებას.

**12-ს** აგვისტოს ქუთაისში ადგილობრივი კლასსიკური გიმნაზიის მასწავლებელს ბ. პეტროვს გაუხსნია ბიბლიოტეკა და საკითხავი კაბინეთი. ეს ბიბლიოტეკა შემდგარია ან. ლორთქიფანიძის და თვით პეტროვის ბიბლიოტეკებისაგან.

ქუთაისის გუბერნიაში ამ ჟამად მოქმედობს ფილოქსერის პარტია, რომელსაც უკვე გამოუკვლევია ვაზები თვით ქუთაისში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში და აბედათში. პარტიას განძრახვა

აქვს გამოიკვლიოს გაზები ქუთაისის გარშემო ადგილებში, რაჭის, შორაპნის, ოზურგეთის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებში.

— ბ. დ. ბურცელაძე იწერება გაზ. «კავკაზში», რომ იმას, 15 ამ თვისას, მოუხდენია არხეოლოგიური გამოკვლევა კობის ხეობაში. სტეფანეწმინდის (ყაზბეგი) სოფლის ეკლესიაში უნახავს ვერცხლის ცხვარი, რომელსაც მიუქცევია იმის ყურადღება და რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი სპარსეთის ანგელოზს უწოდებენ და თაყვანს სცემენ. ეს ცხვარი, ბ. ბურცელაძეს სიტყვით, დიდი ხანი არ არის, რაც გადმოუტანიათ ამ ეკლესიაში რომელიღაც პატარა წმინდა გიორგის ეკლესიიდამ, რომელიც იმყოფება 2—3 ვერსზე სტეფან წმინდიდამ და სადაც ხალხს არ შეუძლიან ყოველთვის იაროს სალოცავად. ქურთის კოშკში, კობის სტანციის ახლო, მას უნახავს ერთი ქართული ხელ-ნაწერი, რომელიც ხუცური ასოებით არის დაწერილი და XVI საუკუნეს ეკუთვნის, ეს ხელ-ნაწერი ძალიან გაფუჭებულია, ფურცლები აკლია და არც თავი აქვს, არც ბოლო. ს. მნაში ერთს ძველს, დანგრეულს ეკლესიაში უნახავს ორი ხატი: იესო ქრისტეს ჯვარცმისა და ღვთის მშობლის მიძინებისა, ეს ხატებიც XVI საუკუნეს ეკუთვნის. იქვე უნახავს კიდევ ერთი ხელ-ნაწერი დავითნისა, რომელიც ტენისგან სველი და დამპალი ყოფილა. ესაც ხუცური ასოებით არის დაწერილი და XVI საუკუნეს ეკუთვნის.

ამ ნახული ხელ-ნაწერებიდგან ბ. დ. ბურცელაძეს გამოჰყავს, რომ XVI საუკუნეში კობის ხეობაში სამღვთო მოქმედებები ქართული ხელ-ნაწერი წიგნებით უსრულებიათ.

— ორშაბათს, ამ თვის 15-ს, როგორც მოგეხსენებათ, მარიამობა—წმიდა ანტონის მონასტრის დღეობა იყო. ეს მონასტერი თბილისიდამ 25 ვერსზედ მდებარეობს და ყოველ ზაფხულობით ბევრს თბილისელებს, განსაკუთრებით შეძლებულ ხალხს, იწვევს თავისკენ თავისი კარგი, გრილი, სუფთა ჰაერით და ყოვლისფრით შემკობილი მდებარეობით. თუ უბრალო დღეებში ბევრი ხალხი დაიარება, რაღა თქმა უნდა, რომ იმის დღეობას უფრო ბევრი ივლის და, როგორც ჩვენ გარდმოგვცეს, წრეულსაც ბევრი დასწრებია ამ დღესასწაულს, ბევრი ლხინი, ქეიფი და მხიარულება ყოფილა მის მშვენიერს მდელოებზე და მაღალი ხეების ჩრდილში.

უკეთესი მდებარეობა, უკეთესი საზაფხულო საცხოვრებელი აღარ შეიძლებოდა, რომ ეს ადგილი ზოგიერთა საჭირო პირობებს მოკლებული არ იყოს. ცნობილია უკვე, რომ ეს მონასტერი აღუშენებია VI საუკუნეში ერთ სირიიდამ მოსულს 13 მამათაგანს, წმიდა ანტონს, და ეხლა საქართველოს ექსარხოსების საზაფხულო სამყოფელია. ბევრი საქართველოს ვაივაგლახის, წვის და დაგვის მოწამეა წმიდა ანტონის მონასტერი და თითონაც ბევრჯელ აოხრებულა ქრისტიანობის და საქართველოს მტრებისგან. უკანასკნელად 1752 წელში აოხრეს ლეკებმა, გაცარცვეს და 300 ბერიც ამოწყვიტეს. ამის შემდეგ ის აღარ განახლებულა ამ საუკუნის 20 წლებამდის და ამ დროიდგან კი, როგორც მომსწრე კაცები ამბობენ, საქართველოს ექსარხოსებმა დაიწყეს მისი განახლება და გამშვენიერება მლოცავების ნებაყოფლობით შემოწირული ფულით და სხვა საშუალობებით. გამართეს კარგი გზა, ააშენეს ბევრი, მლოცავების დასადგომად, კარგი შენობები და ბევრი მლოცავების სასარგებლო წესებიც ყოფილა იქ ექსარხოსებისგან დადგენილი. ერთს ღვთის მოყვარე და ამ მდებარეობის თაყვანის-მცემელს თამაზაშვილს მშვენიერი წყაროც გაუკეთებია. მაგრამ ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ეს წყაროც დამშრალა და უწინდელი წესებიც სულ ერთიანად შეცვლილან. თამაზაშვილის წყაროს წმინდა, ცივი, გემოვანი წყლის მაგივრად, ეხლა ვიღაც მონასტრის მეიჯარადრე — მედუქნე ასმევს მლოცავებს აყროლებულს და დამპალს წყალს, რომელსაც რამდენიმე ვერსის სიშორიდამ ეზიდება და ოქროს ფასად ჰყიდის მლოცავებზე, მაშინ როდესაც მონასტერს იმოდენი შემოსავალი აქვს მლოცავებისგან, იჯარებიდგან და სხვა წყაროებიდგან, რომ დიდს არას შეადგენს უწინდელი წყარო გაწმინდონ და გააკეთონ. სჩანს ეხლა დაუდევრობა და მოუვლელობა. ვიღაც მონასტრის მეიჯარადრეს დუქანი აქვს გამართული და, როგორც უნდა, ისე ჰყვლეფს ხალხს, თუ ერთი სამად არა, ერთი ორად მაინც ჰყიდის თურმე სურსათებს და პატრონი, ყურის მგდებელი ვინ არის.?

ახალი ექსარხოსი, მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესი პავლე იქ იმყოფება და, როგორც ამბობენ, ძალიან თურმე მოსწონს ამ მონასტრის მდებარეობა. იმედია, რომ მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობა ყურადღებას მიაქცევს ყველა ნაკლულევანებას და კვლავ ისე გამართავს და გაამშვენიერებს ამ წმიდა და საქართველოსთვის ძვირფასს ადგილს, როგორც შეჰფერის.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემდეგი მცირე შენიშვნა:

«დროებაში» (№ 146) დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია დაბა ჩხარიდამ ჩემს და იმერეთის ეპარქიის კანცელიარიის მმართველის შესახებ. საქმე შემდეგშია:

კორესპონდენტი, ბ. X სწერს, ვითომ მე და ეპარქიის კანცელიარიის მმართველი საქმეს ისე ვახერხებთ, რომ რამოდენიმე ხნით შემრჩეს მე ჩხარის და ოქონის საეკლესიო მიწები. მოგახსენებთ, ბ. რედაქტორო, რომ ამ საქმეში არც მე და არც კანცელიარიის მმართველს არა გვაქვს არავითარი ბრალი. სინოდის კანტორის განკარგულების ძალით მთელი ეპარქიის საეკლესიო სანადელო მიწები გაიცემიან ვაჭრობით და არა მარტო ჩხარის საეკლესიო მიწები. ამ განკარგულების ძალით მე ვსარგებლობ საეკლესიო მიწით არა უსაბუთოდ და უფასოდ, არამედ მე მაქვს ამის შესახებ კანონიერი კონტრაქტი, რომლის ძალითაც მე მაქვს აღებული მიწა თორმეტი წლის ვადით; კონტრაქტის ვადა შესრულდა ამ თვის პირველს რიცხვს. ყოველივე ამის გაგება რიგიანათ და დაწვრილებით შესაძლებელია საეპარქიო კანცელიარიაში, თუ კი ბ. X ისურვებს საქმის რიგიანათ გამოკვლევას.

ბ. X ბრძანებს, ვითომც მე მქონდეს ჩხარში მშვენიერი ეზო და ორ-სართულიანი სახლი. ეზო, მართალია მაქვს, მაგრამ ორ-სართულიანი სახლი კი არ მიდგია, და არ ვიცი, ბ. კორესპონდენტს რისთვის შეუთხზავს, ვითომც მე ორ-სართულიანი სახლის პატრონი ვიყო, ან რათ ესაჭიროებოდა მას ამ ფაქტის მოგონება!

ჩხარელი მოსარჩლე.

13-ს აგვისტოს.

## რუსეთი

— რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ ტამოჟნების დეპარტამენტის მართველის შუამდგომლობით ყარსის საგუბერნატოროში დაწესდება საკუთარი სამზღვრის საყარაულო განყოფილება. ეს განკარგულება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ კავკასიის აქეთა მხრის ტრანზიტის გაუქმების გამო ძალიან ადვილად მიაჩნიათ ამ მხრივ ჩვენში კონტრაბანდის გამოტანა.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

კაპიტან ვების მიმბაძავი. თუმცა გამოჩენილი ამერიკელი მცურავი ვები ნიაგარაში დაიღუპა, მაგრამ ამ ამბავს ვერ შეუშინებია მეორე გამოჩენილი მცურავი, რომელიც ვების ამბავის გამეორებას აპირებს. ეს ჯერ ჩალისაგან გაკეთებულ ფიგურას ჩააგდებს უფსკრულში და წყლის მიმდინარეობას რომ შეისწავლის, მხოლოდ მაშინ გაჰბედავს ნიაგარაში ჩავარდნას.

ამერიკული თავის გამოჩენა. ერთს ამერიკულ გაზეთს აი რა გზით მოუნდომნია თავისზედ ყურადღების მიქცევა. იმას გამოუცხადებია: «თუმცა იმ ჩვენს ფელეტონებში დაბეჭდილი მოთხრობის კრიოლკის შურისძიების გამო ყოველ დღე არეულობაა ჩვენს რედაქციასთან და ხალხი აყაყანებულია, მაგრამ ჩვენ მაინც არც ძირმოდ, არც საჯაროდ არავის მოუყვებით ამ საგანზედ ბაასს. ჩვენ გვესმის რომ ამ თხზულების ბადალი მთელის ქვეყნის ლიტერატურაში არ მოიპოვება რომ მას შეუძლიან მთელს ხალხზედ ელექტრონულის ძალით იმოქმედოს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩუმად ვიქნებით. ხსენებული მოთხრობა იბეჭდება ამ თვის პირველიდამ. ახალ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ ჩვენი გაზეთი თვის პირველიდამვე მიიღონ.»

უსიამოვნო საჩუქარი. იტალიის დედოფლისათვის ერთს პატარა მოსწავლე ქალს მიურთმევია თავისგან მოქსოვილი ერთი წყვილი ჩულქი. დედოფალს სამაგიეროდ ერთი წყვილივე ჩულქივე გამოუგზავნია; ცალი კონფეტებით აევსია და ცალი ვერცხლის—ფულით. დედოფალს უკითხავს ბავშვისათვის, რომელი უფრო მოგწონსო. პატარა ქალს დასაზულ ქაღალდზედ შემდეგი პასუხი მიუწერია: «ძვირფასო დედოფალო, თქვენმა ჩულქებმა მხოლოდ უსიამოვნობა მომაყენეს, რადგან ფულები მამამ წამართვა და კონფეტები—ჩემმა დებმა და ძმებმა დამტაცეს.


## განცხადებანი

პირველი სეკტემბერი მოდის ხუთშაფათს და, რომ ხალხი არ მოსცდეს ამ გაჭირებულ დროს თავის საქმეს, გვთხოვენ სკოლის გახსნა გადიდოს სხვა დღისათვის. ამის გამო ვაცხადებთ, რომ სასოფლო მეურნეობის სკოლა სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გაიხსნება კვირას, ოთხ სეკტემბერს ამ წლისას, თორმეტ საათზედ. ამ დღეს მშობლებმა, ანუ მზრუნველთა უნდა წარმოადგინონ ყმაწვილები, რომელნიც სურთ მიაბარონ სასწავლებელში. ყმაწვილები უნდა იყვნენ არა ნაკლებ 10—12 წლისა, მრთელნი აგებულებისა. სკოლას პანსიონი არ ექმნება, შაგირდები ივლიან ყოველ-დღე სკოლაში, მიიღებენ უფასოთ სწავლას და საჭირო სასწავლებელ წიგნებს და მასალას.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი.

ა. მირზაშვილის
რეპეტიციის და მოსამზადებელი
კლასები

აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იწყობა 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. ადრესი: გრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომოვის სახლებში, ოზმჩესტვენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. (20—5)

ჩვენ გვსურს ავიყვანოთ ყმაწვილები ნახლებნიკათ. (ქალი თუ ვაჟი სულ ერთია). მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ვეკიაში ახალი არსენლის ქუჩა ილიკო მანდიევის სახლი № 24. (5—2)

## ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ცხვირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაჯინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—24)


Довв. цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. მართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი